



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

14 მაისი, 2018 წელი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №120/17

-- 2017 წლის 06 ივლისის №120 საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 20 აპრილის №120/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ 2017 წლის 12 ივნისს შუამდგომლობით მიმართა -- სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიას წინასასამართლო სხდომის ვადის შემცირების თაობაზე.

-- განმარტებით, მოსამართლემ -- არ დააკმაყოფილა წარდგენილი შუამდგომლობა და მიიღო სრულიად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. საჩივრის ავტორის შეფასებით, მოსამართლემ განჩინებაში სრულყოფილად არ ასახა დაცვის მხარის შუამდგომლობაში წარდგენილი არგუმენტაცია. ამასთან, -- კატეგორიულად არ ეთანხმება განჩინების დასაბუთების ნაწილს.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- 2017 წლის 06 ივლისის №120 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

3. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე -- 2017 წლის 15 ივნისს, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა ბრალდებულების -- ინტერესების დამცველი ადვოკატის - -- შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის ვადის შემცირების შესახებ.

სასამართლო გაეცნო დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მასალებს და 2017 წლის 15 ივნისის №214/2890-17 განჩინებით უარი განაცხადა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017 წლის 11 ივნისს -- პროკურატურის პროკურორ - -- ეცნობა დაცვის მხარის შუამდგომლობის სასამართლოში წარდგენის თაობაზე.

2017 წლის 14 ივნისს -- სასამართლოს განცხადება/შუამდგომლობით მიმართა -- პროკურატურის პროკურორმა - -- და სასამართლოს აცნობა, რომ იგი არ ეთანხმებოდა წინასასამართლო სხდომის ვადის შემცირებას. პროკურორმა განცხადებაში განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნულია ექსპერტიზები, ჩასატარებელია არაერთი საგამომიებო და საპროცესო მოქმედება, ამასთან საქმეზე გაგზავნილია შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ ხუთ ქვეყანაში, სადაც მოთხოვნილ იქნა 66 (სამოცდაექვსი) დაზარალებული პირის დაკითხვა და მათ მიერ თაღლითობასთან დაკავშირებული დოკუმენტების წარმოდგენა.

მოსამართლე -- საქართველოს სსსკ 208-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, განჩინების დასაბუთებისას განმარტა, რომ წინასასამართლო სხდომის ვადის განსაზღვრისას სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს მხარეთა პოზიციები კერძოდ, სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია ბრალდების მხარის პოზიცია. სასამართლოს შეფასებით, შესაბამის მხარეს აქვს კანონიერი მოლოდინი იმისა, რომ განსაზღვრულ ვადაში წარმართავს მისთვის საჭირო და სასურველი მტკიცებულებების მოპოვებას, რის გამოც სასამართლომ მიზანშეუწონლად მიიჩნია წინასასამართლო სხდომის ვადის შემცირება.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრისას მაგისტრი მოსამართლე ითვალისწინებს მხარეთა პოზიციას, საქმის სირთულეს და მოცულობას. მოსამართლემ მხარეებს საკმარისი დრო და საშუალება უნდა მისცეს დაცვისა და ბრალდების მოსამზადებლად.“

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან არაუგვიანეს 60 დღისა. მხარეს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს აღნიშნული ვადის გონივრულ ვადამდე გაგრძელების ან შემცირების შესახებ, რის შესახებაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს. მეორე მხარე უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს სასამართლოს შუამდგომლობის წარდგენიდან 3 დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. მიღებული

გადაწყვეტილება არ საჩივრდება.”

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „შუამდგომლობის განხილვის შედეგად უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ.”

ამდენად, ადვოკატ -- შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე -- მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. საქართველოს სსსკ 208-ე მუხლი მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მოსამართლემ წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრისას გაითვალისწინა მხარეთა პოზიციები, რათა მხარეებს მისცემოდა საკმარისი დრო და საშუალება ბრალდებისა და დაცვის მოსამზადებლად. მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლემ -- იმოქმედა კანონისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე და არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის ვადის შემცირების თაობაზე.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹²-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75¹-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75¹⁰-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 75¹²-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №120/17 მოსამართლე -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი